გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 190

2023 წლის 13 ოქტომბერი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2022 წლის ოქტომბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2022 წლის ოქტომბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2022 წლის ოქტომბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო"
Non-profit (non-commercial) Legal Entity "Amenities Agency of Gori Municipality"

წერილის ნომერი: **12-202326851**
თარიღი: **25/09/2023**

ადრესატი: გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბატონო დავით,

თქვენი 11.09.2023 წლის №21-21232543 წერილის პასუხად გიგზავნით ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო"-ს მიერ 2022 წლის ოქტომბრიდან დღემდე, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს განყოფილებების მიხედვით.

1.სამშენებლო,სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილება.

2022 წლის ოქტომბრიდან დღემდე, სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოეწყო ხელოვნური უსწორმასწორობები და შესაბამისი საგზაო ნიშნები შემდეგ მისამართებზე:

სოფელ ტინისხიდში, საბავშვო ბაღისა და საჯარო სკოლის მიმდებარედ ორ ლოკაციაზე, აგრეთვე სოფელ ქვემო ხვითში, სასაფლაოსთან ორ ლოკაციაზე და სოფელ შინდისში საბავშვო ბაღისა და სტადიონის მიმდებარედ 3 ლოკაციაზე, სოფ. ქვეშში, საბავშვო ბაღის მიმდებარედ ორ ლოკაციაზე, გორის ციხესთან - საკათედრო ტაძრის წინ 2 ლოკაციაზე, ცხინვალის გზატკეცილზე მე-3 კილომეტრზე - თავდაცვის ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის N-2 ბაზის მიმდებარედ - 1 ლოკაცია, ვოლოგდის დასახლებაში საბავშვო ბაღთან - 2 ლოკაცია, სოფელ ახალდაბაში, საჯარო სკოლის მიმდებარედ 2 ლოკაცია, ქ. გორში, შინდისის გმირების გამზირზე (მე-3 კილომეტრი) - 2 ლოკაცია, სულხან-საბას ქ. N-40 და N-64-ის მიდებარედ - 2 ლოკაცია, მე-8 სკოლასთან - 2 ლოკაცია, ბერუაშვილის ქუჩაზე სკვერთან 1 ლოკაცია, სოფელ ქვახვრელში საჯარო სკოლასთან და საბავშვო ბაღთან - 3 ლოკაცია, სოფ. ხიდისთავში საჯარო სკოლასთან და საბავშვო ბაღთან - 6 ლოკაცია, ძევერაში და შერთულში - 6 ლოკაცია.

ქ. გორში, სტალინის გამზირზე, გზის ორივე მხარეს საფეხმავლო სივრცეებთან სპორტ-სკოლის შენობიდან სტალინის გამზ. N-1-მდე მოხდა ლითონის მოაჯირების აწყობა-მონტაჟი და შეღებვა, აგრეთვე შეიღება შუქნიშნიდან სტალინის ბაღამდე არსებული მოაჯირები, ხოლო ლითონის მოაჯირები დამონტაჟდა სოფელ ქვეშში საჯარო სკოლასთან.

ქ. გორში დამონტაჟდა დეკორატიული სკამები და ნაგვის ურნები:

სტალინის ბაღში: სკამი - 14ც, ურნა - 34 ც, შიოს წყაროზე სკამი - 1ც, ბარნოვის ქუჩაზე სკამი - 10ც, ჭავჭავაძის ქუჩაზე I კორპუსთან სკამი - 7ც და ურნა - 7ც, მე-3 სკოლასთან სკამი - 5ც და ურნა - 10ც, სოფელ ქვახვრელში საკალათბურთო მოედანთან სკამი - 4ც, ურნა - 2ც, ჭალის დასახლებაში სპორტ-სასახლესთან ურნა - 10ც, გალაკტიონის ხეივანში ურნა - 2ც, სტალინის გამზირზე - მაგთის ოფისის მოპირდაპირედ ურნა - 1ც, დიდების მუზეუმთან სკამი - 2ც, ცხინვალის გზატკეცილზე საექსპერტო ბიუროსთან ურნა - 2ც, ძმები რომელაშვილების ქ. N-179-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში ურნა - 3ც, ჩოჩიშვილის ქუჩაზე სკვერში ურნა - 4ც, ჯორბენაძის ჩიხში - ფინანსური პოლიციის ეზოში სკამი - 2ც.

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოხდა საცხოვრებელი კორპუსებისა და სხვადასხვა მუნიციპალური შენობების სახურავების შეკეთება შემდეგ მისამართებზე:

ქ. გორში, შარტავას ქ. N-124, ბარნოვის ქ. N-9ა, ჩხეიძის ქ. N-22, მშვიდობის გამზ. N-4, N-17, N-26, N-27, აგრეთვე სოფელ ბერშუეთში, სოციალურად დაუცველი მოქალაქის - ნინო ჯაბახიძის საცხოვრებელი სახლის სახურავი, ბაქოს ქ. N-2, ცხინვალის გზატკ. N-11/46, N-51, ძმები რომელაშვილების ქ. N-184, სუხიშვილის ქ. N-57ა, N-51, საკრებულოს შენობა, ბაქოს ქ. N-5, N-2 და N-12, ძმ. რომელაშვილების ქ. N-10, სტ. გამზ. N-48, გორგასალის ქ. N-5

და N-6, გრიბოედოვის ქ. N-5, ჭონქაძის ქ. N-2, ბაქოს ქ. N-3, შინდისის გმირების გამზირი N-3ა.

ქ. გორში სანიაღვრე არხებზე მოხდა ცხაურების მოწყობა და დაზიანებული ცხაურების აღდგენა : ჩოჩიშვილისა და თამარ მეფის ქუჩების კვეთაზე, გურამიშვილის ქუჩაზე, სადგურის დასახლებაში გაბაშვილისა და კეცხოველის ქუჩებზე, ჭავჭავაძისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე, სოფელ დიცში, სტალინის გამზირზე ლიბერთი ბანკთან.

ქ. გორში მოხდა დაზიანებული სკამების შეკეთება და შეღებვა შემდეგ სკვერებში:

რუხაძის ქუჩაზე, მე-5 სკოლის მიმდებარედ, 9 აპრილის სკვერში, ანწუხელიძის ქ. N-10, ჭავჭავაძის ქუჩაზე - უმაღლესი სასწავლებლის I და II კორპუსთან, ვოლოგდის დასახლებაში, თარხნიშვილისა და ჩოჩიშვილის ქუჩებზე, ჭალის დასახლებაში მერიასთან და ყიფიანის ქ. N-16-ში მდებარე სკვერში, გორის ციხეზე და გოგებაშვილის ქუჩაზე, ძმები რომელაშვილების ქ. N-1, N-179-ის მიმდებარედ და სამხედრო ბინებთან, მშვიდობის გამზ. N-1, N-1ა და N-2ა, გალაკტიონის ხეივანში და ლომჭაბუკის მემორიალის მიმდებარედ, სუხიშვილის ქუჩაზე, მამარდაშვილის მემორიალის მოპირდაპირედ მდებარე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელთან, მე-3 სკოლასთან, ქარხნის, ბარნოვისა და მუსხელიშვილის ქუჩებზე, აგრეთვე სოფელ მარანაში, ხიდისთავში მინი საფეხბურთო მოედნებთან და სოფ. ქვახვრელში და უფლისციხეში მდებარე სკვერებში, ჭალის დასახლებაში, სხირელის სახელობის საჭიდაო დარბაზთან და სპორტ-სასახლესთან მიმდებარედ, ვერხვების ლტოლვილთა დასახლებაში - ძმები რომელაშვილების მემორიალის მიმდებარედ, კაჩინსკის ქ.- N-51-ის მიმდებარედ სკვერში, სოფელ ვარიანში, ი.გოგებაშვილის სახლმუზეუმთან არსებულ სკვერში, შინდისის გმირების გამზ. N-6.

ქ. გორში და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მინი საფეხბურთო და სპორტულ მოედნებზე მოხდა დაზიანებული მავთულბადისა და რკინის კონსტრუქციების აღდგენა :

ქ. გორში, თამარ მეფის ქ. IV კვარტალი N-6 კორპუსის მიმდებარედ დაზიანებული ფარის აღდგენა, სოფელ ქვახვრელში არსებულ საკალათბურთო მოედანზე მავთულბადის - 45 $მ^2$ მონტაჟი, აგრეთვე მინი საფეხბურთო მოედანზე მავთულბადის - 60 $მ^2$ მონტაჟი და შეღებვა, სოფელ ხიდისთავში-მინი საფეხბურთო მოედანზე მავთულბადის - 30 $მ^2$ მონტაჟი, სოფელ პატარა გარეჯვარში - მინი საფეხბურთო მოედანზე მავთულბადის შეცვლა 30$მ^2$, კაჩინსკის ქ.- N-51-ის მიმდებარედ მინი მოედანზე, სოფ. ტინისხიდში მავთულბადის მონტაჟი - 30 $მ^2$, გორგასალის ქ. N-5-ის მიმდებარედ.

ქ. გორში მოხდა დაზიანებული საგზაო ნიშნების აღდგენა შემდეგ მისამართებზე:

ქ. გორში, წერეთლის ქუჩის გამოსასვლელთან, კომბინატის დასახლებაში კულტურის სახლთან და N-10 სკოლასთან, სტ. გამზ. N-16, ბარნოვის ქ. N-9ა-ს მიმდებარედ, სუხიშვილის ქუჩაზე მომსახურების სააგენტოსთან, ცხინვალის გზატკეცილზე, გურამიშვილის, კეცხოველის, ტყვიავისა და ჩუბინიშვილის ქუჩებზე, სტალინის გამზირზე ლიბერთი ბანკთან, სოფელ კარალეთიდან ტყვიავის მიმართულებით საავტომობილო გზაზე, მშვიდობის გამზ. N-11 და 26 მაისის სანაპიროზე.

ქ. გორში არსებულ საცხ.კორპუსებში მოხდა წყალშემკრები მილების შეკეთება შემდეგ მისამართებზე:

ქ. გორში, აბრამიშვილის ქ. N-9, N-16, N-11, N-15 საბავშვო ბაღების სახურავზე, ცხინვალის გზატკ. N-43/12, ჩოჩიშვილის ქ-N-4, სტალინის გამზირი N-2, ძმები რომელაშვილების ქ. N-178, სუხიშვილის ქ. N-18, შარტავას ქ. N-124, საკრებულოს შენობაზე, ანწუხელიძის ქ. N-1,N-7, გრიბოედოვის ქ. N-5, ჭონქაძის ქ. N-2, ბაქოს ქ. N-3, მშვოდობის გამზ. N-20, პ. გარეჯვარში საბავშვო ბაღში,

ქ. გორში და სოფლებში, სკვერებში და სატრენაჟორო კომპლექსში მოხდა დაზიანებული საბავშვო ატრაქციონებისა და სავარჯიშო მოწყობილობების შეკეთება შემდეგ მისამართებზე:

მშვიდობის გამზირი N-1ა და N-12ბ-ს მიმდებარედ საჩოგბურთო კორტებთან, სოფელ ხიდისთავში მინი საფეხბურთო მოედანთან, შინდისის გმირების გამზ.N-6 და N-16ის ეზოში, ძმ. რომელაშვილების ქ. N-1, N-3 და N-5-ს შორის, გორგასალის ქ. N-5-თან მდებარე სკვერში, მუსხელიშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერში, თოიძის ქ. N-2.

ქ. გორში, სტ. გამზირზე, ფოსტის შენობასთან არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები და მოხდა კარებებისა და სანათის სამაგრების მონტაჟი.

ქ. გორში, მშვიდობის ქ. N-25 ბინა N-45-ში მოხდა რკინის კონსტრუქციის დემონტაჟი, აგრეთვე დემონტაჟი ჩაუტარდა ანტონოვის ქუჩაზე მდებარე ხეივნის რკინის კონსტრუქციას, ხოლო სოფელ დიცში, საბავშვო ბაღთან დემონტაჟი ჩაუტარდა რკ/ბეტონის კონსტრუქციებს.

ქ. გორში, სტალინის გამზირზე და ჭავჭავაძის ქუჩაზე, განათების ბოძებზე დამონტაჟდა დროშის სამაგრები, სოფელ მუმლაანთკარში, საფეხბურთო მოედანზე მოხდა განათების ბოძების მონტაჟი, ხოლო სოფელ შინდისში, გმირთა მემორიალზე შეიღება განათების ბოძები.

ქ. გორში, სტ. გამზირზე, საკრებულოსთან მოხდა საყვავილეების განთავსება და შეღებვა, ხოლო ტყვიავის ქ. N-1 და N-10-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში შეიცვალა დაზიანებული ნაგვის ურნები.

ქ. გორში, სტალინის გამზირზე და გოგებაშვილის ქუჩაზე მოხდა სარწყავი სისტემის მოწესრიგება, ხოლო სოფელ ხურვალეთში და მეჯვრისხევში გაიწმინდა სანიაღვრე არხები.

ქ. გორში, იუსტიციის სახლთან შადრევანის გარშემო, სტალინის ბაღში, აგრეთვე მერიის შენობასთან, წერეთლის ქუჩაზე, ბარათაშვილის ძეგლთან და მშვიდობის გამზირზე N-17, 22, 23-ის მიდებარედ, N-11 საბავშვო ბაღის ეზოში, ლომჭაბუკისა და ძმები რომელაშვილების მემორიალის მიმდებარედ მოხდა ფილების მოწყობა და დაზიანებული ფილების გამაგრება.

ქ. გორში, მშვიდობის გამზირზე მოხდა კულტურის სახლის კიბეების რეაბილიტაცია, მასთან არსებული კედლის შელესვა-შებრიზგვა და პანდუსის მოაჯირის მოწყობა - შეღებვა, ხოლო ბესიკის ქ-ზე მოხდა კულტურის სახლთან მდებარე ბეტონის კედლის რეაბილიტაცია.

ქ. გორში, ჭალის დასახლებაში, სპორტ-სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა ძიუდოში გასამართი ტურნირის - ევროპის თასის აღმნიშვნელი ბანერების აწყობა - მონტაჟი.

ქ. გორში, ტყვიავისა და მუსხელიშვილის ქუჩებზე, აგრეთვე ვოლოგდის დასახლებაში და სოფელ ხიდისთავში, განათების ბოძებზე დამონტაჟდა სანათის სამაგრები, ხოლო გორიჯვრის ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე მოხდა დაზიანებული მოაჯირების გამაგრება.

ქ. გორში, სტალინის გამზირზე, ფოსტის შენობასთან და გორის ციხის ასასვლელში დამონტაჟდა ბეტონის ბოძკინტები, ხოლო ცხინვალის გზატკეცილზე, ტყვიავისა და ყიფიანის ქუჩების კვეთაზე - პლასტმასის ბოძკინტები და შესაბამისი საგზაო ნიშნები.

ქ. გორში, მშვიდობის გამზირზე არსებულ კულტურის სახლში მოხდა მოძრავი სცენის აწყობა, ხოლო სააგენტოს ეზოში გადასაადგილებელი ლითონის მოაჯირების შეღებვა, აგრეთვე საავტომობილო მაგისტრალზე, გორის შემოსასვლელთან არსებულ მემორიალთან დამონტაჟდა განათებითი აბრა წარწერით - „მე მიყვარს გორი“.

ქ. გორში, ანწუხელიძის ქ. N-1-ში მდებარე კორპუსში (ე.წ. ნარკოლოგიური შენობა) მოხდა სასმელი წყლის ტუმბოს მონტაჟი, ხოლო ძმები რომელაშვილების ქ. N-179-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში და ჭავჭავაძის ქუჩაზე, უმაღლესი სასწავლებლის I კორპუსთან შეიცვალა სასმელი წყლის ონკანები.

ქ. გორში, სტალინის ბაღში, შიოს წყაროზე, ბარათაშვილის ძეგლთან, თეატრის ეზოში სამეფოს ქუჩაზე და ვოლოგდის დასახლებაში არსებულ სკვერებში შეიღება შადრევნები.

ქ. გორში, სუხიშვილის ქუჩაზე, საბავშვო ბაღის-“ინტელექტის” მიმდებარედ მოხდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელთან არსებული კედლის შელესვა-შეღებვა, აგრეთვე N-15 საბავშვო ბაღში მოხდა დაზიანებული ღობის შეკეთება.

ქ. გორში, ლომჭაბუკის მემორიალზე და სხვადასხვა მუნიციპალურ და საცხოვრებელ შენობებზე მოხდა საღებავით დაზიანებული კედლების გასუფთავება, აგრეთვე ლომჭაბუკის მემორიალთან, განათების ბოძკინტებზე დამონტაჟდა თუნუქის თავსახურები.

სოფელ მერეთში რეაბილიტაცია ჩაუტარდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელს, აგრეთვე შეკეთდა ცხინვალის გზატკეცილზე მდებარე მოსაცდელი, ვერხვების დასახლებაში, თოიძის ქუჩაზე N-2-თან მოხდა მოსაცდელის შეკეთება, ხოლო სადგურის დასახლებაში, რკინიგზის ხიდზე მოხდა დაზიანებული რკინის ცხაურის აღდგენა.

ქ. გორში, ანწუხელიძის ქ. N1/10ა-ში მცხოვრებ შშმ პირის - ნაზი საათაშვილის საცხ. სახლში მოხდა სველი წერტილის მოწყობა, ჭონქაძის ქ. N-9/12-ში, სოციალურად დაუცველი მოქალაქის ციცო ცხოვრებაშვილის საცხოვრებელ სახლში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, ხოლო სოფელ შინდისში შეკეთდა ლიანა მესხის საცხოვრებელი სახლის აივანი.

ქ. გორში, სუხიშვილის ქუჩაზე, მამარდაშვილის მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა დაზიანებული კედლების აღდგენა, დიდების მუზეუმთან განთავსდა საყვავილის დასადგამი, ხოლო ახალბაღში მოხდა ჯიხურის დემონტაჟი.

ქ. გორში, ყიფიანისა და ტყვიავის ქუჩების კვეთაზე მოხდა საგზაო ბოძკინტების, ქვეითთა გადასასვლელების და შესაბამისი საგზაო ნიშნების მოწყობა, ხოლო რკინიგზის სადგურზე, მიწისქვეშა გადასასვლელზე დამონტაჟდა განათების ბოძები.

სოფ. კარბში მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაცია, აგრეთვე სოფელ შინდისში, გმირთა მემორიალზე მოხდა განათების ბოძებისა და საჭიდაო არენის შეღებვა, ხოლო სოფელ კარალეთის სათბურების დასახლებაში მდებარე სკვერში მოხდა სკამებისა და მაგიდის შეკეთება.

სოფელ დიცში მდებარე სკვერში მოხდა ლითონის მოაჯირებისა და ხის სკამის აწყობა-მონტაჟი, განთავსდა დეკორატიული ნაგვის ურნები და დამონტაჟდა გარე განათების ბოძი.

ქ. გორში, პაპიტაშვილის ქუჩაზე და კომბინატის დასახლებაში, მდ. ლიახვზე არსებულ ხიდებზე შეიღება ბორდიურები და მოაჯირები, აგრეთვე სადგურის დასახლებაში, მდ. მტკვარზე არსებულ ხიდზე შეიღება განათების ბოძები, ხოლო საკრებულოს შენობასთან მოხდა დაზიანებული ბორდიურების აღდგენა.

ქ. გორში, ლომკაცის მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდა განათების ბოძკინტები, გვერდწითელის ქუჩაზე მოხდა განათების ბოძის მონტაჟი, ხოლო გორიჯვრის ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე (ე.წ. კაკლებში) დემონტაჟი ჩაუტარდა დაზიანებულ რკინის კონსტრუქციებს.

ქ. გორში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, რიკოს მიმდებარედ და 26 მაისის სანაპიროზე მოხდა ქვეითთა გადასასვლელების მონიშვნა, ხოლო სუხიშვილის ქუჩაზე, მამარდაშვილის მემორიალის მიმდებარედ განთავსდა ბეტონის საყვავილეები.

სოფელ ხიდისთავში დამონტაჟდა განათების ბოძები, აგრეთვე სკვერისა და ყოფილი კლუბის შორის მოეწყო მავთულბადე, ხოლო სარწყავ არხზე მოხდა დაზიანებული წყალგამყოფი ფარის აღდგენა.

2.ტრანსპორტის განყოფილება.

2022 წლის ოქტომბრიდან დღემდე, ტრანსპორტის განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში:

სააგენტოს სარგებლობაში არსებულ ტრანსპორტს დაემატა ორი ერთეული სპეც. ტექნიკა DAF CF 75 და მერსედეს ბენც 818 D, რომლებიც მიემაგრათ დასუფთავების და გამწვანების განყოფილებებს, ასევე შეძენილი იქნა სატრანსპორტო საშუალება მარკა MITSUBISHI, მოდელი L200,სარეგისტრაციო ნომერიYG814GY, რომელიც გადაეცა ადმინისტრაციის განყოფილებას.

ტრანსპორტის განყოფილებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი და გრაფიკი, როგორც სოფლებში, ასევე ქალაქის უბნებში მომსახურე და მორიგე ტრანსპორტისათვის. ყველა ტრანსპორტზე დაყენებულია აგა-ის სისტემა, იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებზეც ვერ მონტაჟდება აგა-ის სისტემა - გვაქვს ნომრიანი პლასტიკური ბარათები. რომელიც ელექტრონულად აღრიცხავს ტრანსპორტში ფაქტიურად ჩასხმული საწვავის რაოდენობას, რომელიც აისახება სპეციალურ ვებ გვერდზე. ასევე ყველა სატრანსპორტო საშუალებას დამტკიცებული აქვს საწვავის ხარჯვის თვიური ლიმიტი. ტრანსპორტის ობიექტზე გასვლის წინ გაიცემა საგზური ობიექტის ადგილმდებარეობის და დანისნულების მითითებით. სააგენტოს სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებულია GPS სისტემები, რაც საშუალებას გვაძლევს ვაკონტროლოთ ობიექტზე გაგზავნილი ტექნიკის ადგილმდებარეობა. სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე ყველა ტრანსპორტზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი მძღოლები, რომელთანაც გაფორმებულია თანხმობის ბარათი და მიღება ჩაბარების აქტი ტრანსპორტის ტექნიკური მდგობარეობის აღწერით. ყოველდღიურად ხდება დღიურ ანაზღაურებაზე მყოფი მძღოლების და ტრანსპორტის განყოფილების ტანამშრომლების ნამუშევარი დღეების აღრიცხვის წარმოება.

სააგენტოს სარგებლობაში არსებული ტრანსპორტი განაწილებულია განყოფილებების მიხედვით. კერძოდ: დასუფთავების სამსახურს ემსახურება რვა ერთეული სპეც. ტექნიკა(რობოტი) ქალაქიდან და სოფლებიდან ნარჩენების გასატანად. ქალაქის მოსახლეობას ემსახურება ხუთი ერთეული გაზიკის ტიპის თვითმცლელი და გაზელის მარკის სამი ერთეული ავტომობილი, ქალაქის ქუჩებში ფოთლების მოსაგროვებლად გვყავს გამოყოფილი მერსედესის მარკის სპეციალური მტვერსასრუტი, ქუჩების მოსარწყავად საჭიროების მიხედვით ემსახურება ორი ერთეული გაზელის მარკის ავტომობილი, რომელთა ძარის გადაწყობის შემდეგ შესაძლებელია ზამთრის პერიოდში თოვლის გასვეტა და ტექნიკური მარილის მობნევა. ზამთრის თვეებში მარილის მოსაბნევად საჭიროების მიხედვით ქალაქში გასული იქნა ტექნიკა და მარილი მობნეული იქნა საპატრულო ეკიპაჟის მიერ მითითებულ ადგილებზე. მშენებლობის განყოფილებას ემსახურება სამი ერთეული ტრანსპორტი- ორი კამაზის და ერთი ფორდის ტიპის თვითმცლელი, გრეიდერი, სამი ტრაქტორი, ბობკატი, კომაცუ, ერთი ფორდ ტრანზიტი და ერთი მერსედესის მარკის სამგზავრო. გამწვანების განყოფილებას ემსახურება ორი ერთეული ამწე კალათი, მერსედესის მარკის თვითმცლელი, ფორდის მარკის სატვირთო სამგზავრო და ფიატის მარკის მსუბუქი ავტომობილი. განათების განყოფილებას ემსახურება ერთი ამწე კალათი და ერთი ფორდის მარკის სატვირთო-სამგზავრო.

სააგენტოს სარგებლობაში არსებული ტრანსპორტი ემსახურება გორის მუნიციპალიტეტის 78 სოფელს, სადაც განლაგებულია 2096 ერთეული ნაგავ შემკრები ურნა. ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულია 595 ერთეული ნაგავ შემკრები ურნა, აღნიშნულ ურნებს ემსახურება 8 ერთეული რობოტის ტიპის სპეც. ტექნიკა. ქალაქის მოსახლეობას ემსახურება 8 ერთეული თვითმცლელი. ქალაქის ტერიტორიაზე ყოველდღიურად მორიგეობს ორი ერთეული რობოტი და ერთი თვითმცლელი.

2023 წლისათვის განყოფილების მიერ განსაზღვრული იქნა განყოფილებების მიხედვით წლის განმავლობაში შესაძენი საწვავის, ზეთების, საპოხი მასალების, აკუმულატორის, საბურავების, ანტიფრიზის და სხვა მასალების რაოდენობა. მომზადებული იქნა და მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა სპეც. ტექნიკის და ტრანსპორტს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გასატარებლად. საანგარიშო პერიოდში პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გაიარა 23 სატრანსპორტო საშუალებამ. ეტაპობრივად ხდება ძრავებში, ჰიდრავლიკურ სისტემაში, გადაცემათა კოლოფში და წამყვან ხიდებში ზეთების შეცვლა. ავტომობილებზე შეცვლილი იქნა აკუმულატორები. პერიოდულად ხდება დაზიანებული მაღალი წნევის მილების აღდგენა.

მძღოლებს პერიოდულად ურიგდებათ სპეც. ტანსაცმელი, ხელთათმანები.

საანგარიშო პერიოდში ტრანსპორტის განყოფილებას დაეწერა წერილები სხვადასხვა საკითხებზე, ძირითადად მერის წარმომადგენლებისაგან იყო თხოვნები ტექნიკით დახმარების თაობაზე, როგორც სარწყავი არხების გასაწმენდად, საუბნო გზების მოშანდაკებისათვის, ასევე სტიქიური ნაგავსაყრელების დასასუფთავებლად.

საანგარიშო პერიოდში განყოფილებას დაეწერა 117 წერილი, რომლებიც შესრულებული იქნა ვადების დაცვით. გაწმენდილი იქნა 12000 მეტრზე მეტი სიგრძის შიდა სარწყავი არხი. დირექციის დავალებით და მერის წარმომადგენლების მოთხოვნით მოხდა შიდა საუბნო, სავარგულებთან მისასვლელი გზების მოხრეშვა-მოშანდაკება. მუნიციპალიტეტის სოფლებში ლიკვიდირებული იქნა სტიქიური ნაგავსაყრელები. სტიქიის შედეგად ჩამოტანილი ქვა-ღორღისაგან იწმინდება როგორც სადგურის დასახლების ტერიტორია, ასევე სოფლების საავტომობილო გზები.

ბულდოზერი კომაცუს მიერ მოსწორებული იქნა სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია. ასევე გასწორებული იქნა სახორცეს საავტომობილო გზა.

3.გარე და დეკორატიული განათების განყოფილება.

2022 წლის ოქტომბრის თვიდან 2023 სექტემბრის ჩათვლით გარე და დეკორატიული განათების განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში:

ყოველდღიურად საღამოს საათებში ვახორციელებთ ქალაქის შემოვლას ღამის განათების მდგომარეობის

შესწავლის მიზნით, რეგულარულად გვაქვს კონტაქტი მერის წარმომადგენლებთან სოფლის თემებში. აღდგენილია დაზიანებული ხაზები სოფლებში: სკრაში, ხიდისთავში, კარალეთში, ტინისხიდში, ფლავისმანში, ტირძნისში, ნიქოზში, დიცში და სხვა სოფლებში. ასევე სისტემატიურად მიმდინარეობს დაზიანებული მაგნიტური გამშვებისა და ელ. გამშვების შეცვლა(აღდგენა) ქალაქსა და რაიონებში.

2022 წლის დეკემბრის თვეში ჩვენი განყოფილების მიერ იქნა შესრულებული საახალწლო სამუშაოები: მოირთო ნაძვისხე და ცენტრალური ქუჩები. ასევე მოხდა დემონტაჟი.

ასევე მერის წარმომადგენლების მოთხოვნის საფუძვლებზე მიმდინარეობს ქალაქსა და რაიონებში სანათების შეცვლა-დამატება.

ამ საანგარიშო პერიოდში ჩვენი განყოფილების მიერ მოხდა 565 წერილის შესრულება და 13 წერილის შესრულებაზე უარი ეთქვა.

სტალინის ქუჩაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელებში მოეწყო განათება.

რეაბილიტირებულია სკვერებისა და შადრევნების განათება. დაყენდა და შეიცვალა დეკორატიული ბურთულები სკვერებში: სტალინის სკვერის, თეატრის, შიოს წყაროს, მე-3 სკოლის სკვერში, გორგასლის სკვერში, კაჩინსკის სკვერში, კვერნაკის სკვერში, ფლავისმანის სკვერში და სხვა სკვერებში. მოხდა ბარათაშვილის სკვერთან არსებული ფანტანის აღდგენა და ლედ პროჟექტორებით განათება, ასევე გაეშვა და მოეწყო იუსტიციის მიმდებარედ არსებული ფანტანი.

მთლიანად შეიცვალა ჭალაში არსებული სკვერების განათებები და შეიცვალა ძველი სანათები ახალი დიოდური სანათებით, მოეწყო ახალი სკვერი და მოხდა განათებების დაერთება.

მოხდა მტკვრის ხიდის განათება ლედ სანათებით და რკ. ხიდებზე მოხდა სანათების ამოცვლა.

მოხდა რაიონებში არსებული საჭიდაო მოედნების განათებების აღდგენა.

სისტემატიურად მიმდინარეობს ქალაქსა და რაიონების მინი სტადიონების განათების აღდგენა განახლება. უნივერსიტეტთან არსებულ „ზაზა ფაჩულიას“ სახელობის კალათბურთის სტადიონზე დაყენდა ლედ პროჟექტორები.

სრულად შეიცვალა ძველი განათება ახალით 50, 100 და 150 ვატიანი დიოდური სანათებით შემდეგ ქუჩებზე:

1. შინდისის გმირების ქუჩაზე დაყენდა 100 ვატიანი 58 ცალი სანათი.
2. ორთაშენში 150 ვატიანი 66 ცალი სანათი.
3. ჭავჭავაძეზე კვერნაკის ასასვლელში 100 ვატიანი 36 ცალი სანათი.
4. გურამიშვილის ქ. 21-ე სანაპიროსთან 100 ვატიანი 40 ცალი სანათი.
5. პუშკინის ქ. 100 ვატიანი 26 ცალი სანათი.
6. რკ. სადგური 50 ვატიანი 56 ცალი სანათი.
7. პაპიტაშვილის ქ. 50 ვატიანი 25 ცალი სანათი.
8. ანწუხელიძის ქ. 50 ვატიანი 33 ცალი სანათი.
9. ტინისხიდის შესასვლელი 50 ვატიანი 28 ცალი სანათი.
10. რაზმაძეზე 150 ვატიანი 14 ცალი სანათი.
11. თამარ მეფეზე 100 ვატიანი 11 ცალი სანათი.
12. კახნიაშვილის ქუჩაზე ამოიცვალა ეკო სანათები 100 ვატიანი ლედ სანათებით 12 ცალი.
13. თუთარაშვილზე ქუჩაზე ამოიცვალა ეკო სანათები 50 ვატიანი ლედ სანათებით 4 ცალი.
14. გორგასალის ქუჩაზე სოდიუმის სანათები ამოიცვალა 150 ლედ სანათებით 18 ცალი.

საანგარიშო პერიოდში სოფლებსა და ქალაქში შეცვლილ იქნა 1670 ცალი ეკო ნათურა, სოდიუმის ნათურა 41 ცალი, დროსელი 390 ცალი, სადენი 6140 მეტრი, იზუ იგნატორი 7 ცალი, მაგნიტური ჩამრთველი 79 ცალი, ავტომატიური ამომრთველი 159 ცალი, ლედ ნათურა 715 ცალი, ლედ პროჟექტორი 429 ცალი, ლედ სანათი 1027 ცალი, ფოტორელე 37 ცალი, მასრა ფაიფურის 200 ცალი და სხვა დამხმარე ელ მასალები.

4. დასვენების პარკი „ახალბაღი“-ის განყოფილება.

* მოგეხსენებათ, რომ დასვენების პარკ ,,ახალბაღში" მიმდინარეობს სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

5.დასუფთავების განყოფილება.

2022 წლის ოქტომბრიდან დღემდე, დასუფთავების განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

· მოგახსენებთ, რომ დასუფთავების განყოფილების მიერ 2022 წელს იგვებოდა ქალაქის 65 ქუჩა, დღეის მდგომარეობით დასუფთავების განყოფილების მიერ ყოველდღიურად იგვება გორის 70 ქუჩა 85 მეეზოვის მიერ.

· ვემსახურებით მუნიციპალიტეტის 78 სოფელს.

· დაგვილი მასის და მოსახლეობის საყოფცხოვრებო ნარჩენების გატანას გორს და მუნიციპალიტეტის სოფლებს ემსახურება 8 ერთეული თვითმვლელი და 8 ერთეული ურნების დამცლელი სპეციალური ავტომანქანა მტვირთავი მუშების დახმარებით.

· რეგულარულად იწმინდება სანიაღვრე არხები
· შემოდგომის სეზონზე, ფოთოლცვენის დროს, იქ სადაც მუდმივი წყლის დინება არ არის თითქმის ყოველდღიურად იგვება არხები და სუფთავდება დაგვილი მასისგან, ასეთი ქუჩებია: სტალინის გამზირი, ნინოშვილის ქუჩა, აღმაშენებლის ქუჩა, რუსთაველისა და რობაქიძის ქუჩები.ასევე ნოემბრის თვეში რეგულარულად ვამუშავებთ ფოთლისამწოვ სპეციალიზებული ავტომობილს 2 მუშით და ქალაქის ტერიტორიიდან გაგვაქვს ნაგავსაყრელზე დაახლოებით 55 ტონა ფოთოლი.
· რეგულარულად იწმინდება ბორდიურის ძირები, ფეხით სავალი ნაწილები სუფთავდება მტვრისგან და ბალახისგან, ყოველდღიურად იგვება ქალაქში მდებარე ხიდები.
· ქალაქის ტერიტორიაზე მინიმუმამდე შემცირდა სტიქიური ნაგავსაყრელები, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ქალაქის გარე უბნებში მობნეული მსუბუქი მასის აკრეფა პოლიეთილენის ტომრებში.
· პერიოდულად, პოლიეთილენის ტომრების გამოყენებით მუშების დახმარებით, ხდება სოფლებში მობნეული მსუბუქი მასის აკრეფა. 2022 წელს აღნიშული სამუშაოები განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილ სოფლებში, შემდეგი პერიოდულობით: ტყვიავი - 2 ჯერ, კარალეთი 3- ჯერ, მეჯვრისხევი - 2 ჯერ, ვარიანი - 3 ჯერ, შინდისი - 2 ჯერ, ქვახვრელი - 1 ჯერ, ხიდისთავი - 1 ჯერ, ბერბუკი- 2 ჯერ, მეღვრეკისი - 1-ჯერ, ასევე საჭიროების მიხედვით ვასუფთავებთ სოფელ გორიჯვრის და წმინდა გიორგის ეკლესიისაკენ მიმავალ საავტომობილო გზას და მის მიმდებარე ტერიტორიას.
· გაწმენდილი და ლიკვიდირებული იქნა, გორში და მუნიციპალიტეტის სოფლებში, მერიიდან შემოსული წერილების და ჩვენი სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირებული მცირე სტიქიური ნაგავსაყრელები (ჯამში 8 ლოკაცია).
· საანგარიშო პერიოდში გორიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან გატანილია დაახლოებით 36 000 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი და დაგვილი მასა.

· მიმდინარე პერიოდში რამდენჯერმე გაიწმინდა 10000 გრძ/მ სანიაღვრე არხი, აქედან ყოველდღიურად იწმინდება 1000 გრძ/მ დანარჩენი კი დაკვირვების მიხედვით.

· გავწმინდეთ მთელი ქალაქის ტერიტორიის ბორდიურები ბალახისა და დალექილი მიწისაგან. ყოველდღიურ რეჟიმში ვახორციელებთ სკვერების, სავალი ნაწილების გაწმენდას და ურნების დაცლას ნარჩენებისგან.

· წლის განმავლობაში გვაქვს დაგეგმილი ღონისძიებები ,,მუნიციპალური კალენდარით'', რომლის ფარგლებშიც 01.03.2023 წელს გავასუფთავეთ ვერხვების და წმინდაწყლის დევნილების ტერიტორიები სტიქიური ნაგავსაყრელებისგან.

· 01.04.2023 წელს დასუფთავდა კომბინატის დასახლებაში კულტურის სახლის მიმდებარედ სკვერები და მოედნები.

· 04.05.2023 წელს დასუფთავდა გორიჯვრის მიმართულებით ტაძრამდე სავალი ადგილები და სანიაღვრე არხები, სპეციალიზირებული სარწყავი მანქანებით მოირეცხა საავტომობილო გზა.

· 02.06.2023 წელს დასუფთავდა კარალეთის დევნილთა დასახლებაში საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორია.

· 05.08.2023 წელს დასუთავდა ვოლოგდის დასახლების ტერიტორია და მიმდებარე სკვერები.

· 2-2 ჯერ გაიწმინდა სოფელი კარალეთის შესასვლელი, სოფელი ტყვიავის იუსტიციის სახლის მიმდებარედ სკვერები და მემორიალის ტერიტორიები.

· მოხდა იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიის დაგვა -დასუფთავება.

· გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების პასუხად ამოიცვალა 39 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი და დაამტებით განთავსდა 7 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი.

· სოფლებში დაზიანებული ურნები ამოიცვალა ჩვენი სამსახურის მიერ აღდგენილი 39 ცალი 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერებით, დაზიანებულ ურნებს შეუცვალეთ 30 ცალი სავალი თვალი.

· 2022 წლის დეკემბერში მიღებული 200 ცალი 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერიდან საანგარიშო პერიოდში სულ ამოიცვალა 152 ცალი და დამატებით განთავსდა 44 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი.

· წერილების საფუძველზე განვათავსეთ პატარა დეკორატიული სანაგვე ურნები შემდეგ მისაართებზე: ტყვიავის ქუჩა - 2 ცალი, დიდების მუზეუმთან - 1 ცალი, ფოსტასთან - 2 ცალი, გელდიაშვილის ქუჩაზე - 1 ცალი, სტალინის

გამზირზე - 1 ცალი, სტალინის მუზეუმის უკან - 1 ცალი.

· გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე გაიწმინდა სანიაღვრე არხები: ზუბალაშვილების, შარტავას, გაბაშვილის და იოსებიძის ქუჩებზე.

· დღეისათვის მუნიციპალური სოფლების ტერიტორიაზე განთავსებულია 1460 ცალი 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერი, აქედან გორის ტერიტორიაზე - 595 ცალი, სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებულია 2055 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი.

6. მონიტორინგის განყოფილება.

მონიტორინგის განყოფილება:

· ახორციელებს მონიტორინგს სააგენტოს წესდებით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების სრულყოფილ შესრულებაზე;

· უწევს მონიტორინგს სააგენტოში დასაქმებულების (როგორც საშტატო ერთეულით, ასევე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულები) მიერ მათთვის სააგენტოში მოქმედი წესდებით, შინაგანაწესით და დებულებით განსაზღვრული მოვალეობების სრულყოფილ შესრულებას;

· უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ დაგეგმილი სამუშაოების ორგანიზებასა და მონიტორინგს;

· ახორციელებს მონიტორინგს სააგენტოს თითოეული განყოფილების მიერ დაგეგმილ, შესასრულებელ და შესრულებულ სამუშაოებზე;

· ახორციელებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებაზე მონიტორინგს.

· შეისწავლის სააგენტოში შემოსულ კორესპონდენციას და კომპეტენციის მიხედვით, შესაბამისი განყოფილების მეშვეობით, უზრუნველყოფს წერილში მოთხოვნილი სამუშაოების შესრულებას.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინის განყოფილებას შესასწავლად დაეწერა 58 წერილი, შესრულდა 16 ხოლო უარი ეთქვა 42 წერილს.

კერძოდ შესრულდა:

ტექინიკის გამოყოფა 2;

არხის გაწმენდა 12;

ნერგების გამოყოფა - 1;

ნარჩენებისგან დასუფთავება - 1;

მონიტორინგის განყოფილება ყოველდღიურ რეჟიმში ზედამხედველობას უწევს სოციალური დასაქმების პროგრამის ფარგლებში დასაქმებული ბენეფიციარების მიერ შესრულებულ სამუშაოებს და აწარმოებს მათი გამოცხადების აღრიცხვის ფურცლებს.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის განყოფილებამ ადმინისტრაციული საქმისწარმოება განახორციელა სააგენტოში დასაქმებული 10 თანამშრომელზე და მათ მიმართ მონიტორინგის განყოფილების დასკვნის საფუძველზე გამოყენებულ იქნა დისციპლინური სახდელის ზომები.

7. გამწვანება და სანერგე მეურნეობის განყოფილება.

2022 წლის ოქტომბრიდან დღემდე, გამწვანება და სანერგე მეურნეობის განყოფილების მიერ გაწიული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

* დაიბარა თეატრის, შოთა რუსთაველის, დიდების მუზეუმის, სტალინის და მე -3 სკოლასთან არსებული სკვერები.
* გაისხლა მრავალ წლიანი ნარგავები: ჭავჭავაძის, აღმაშენებლის, მშვიდობის, სტალინის და სუხიშვილის ქუჩებზე.
* სკვერებში და გაზონებში დეკორატიულად გაიკრიჭა მარადმწვანე ბუჩქები და ლუგუსტრუმები.
* სისტემატურად მიმდინარეობს სკვერების და გაზონების თიბვის სამუშაოები, ასევე სკვერებში და გაზონებში ფეხით სავალი ბილიკები სუფთავდება სარეველა ბალახისგან და იწამლება გერბიციდის ხსნარით.
* ვანხორციელებთ ქალაქში არსებული სკვერებისა და გაზონების ჩამოცვენილი ფოთლებისგან გასუფთავებას.
* სისტემატურად მიმდინარეობს ქალაქში არსებული მრავალ წლიანი ნარგავების მორწყვა.
* ჩატარდა მულჩირების სამუშაოები: დიდების მუზეუმის სკვერში და სტალინის ბაღში.
* ჭავჭავაძის ქუჩაზე, სტალინის გამზირზე, სუხიშვილის ქუჩაზე და სხვა მუნიციპალურ ადგილებში შეიწამლა მცენარეები მავნებლებზე.
* ძმები რომელაშვილების N179-თან მოეწყო სკვერი, მოხდა შავი მიწის შეტანა, დაირგო სხვადასხვა ჯიშის მცენარეები.
* ფერაძის, გოგებაშვილის ქუჩებზე, მამარდაშვილის ძეგლთან და საკრებულოს წინამდებარე გაზონებში და მცენარეების ქოთნებში მოხდა შავი მიწის შეტანა.

* გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს დაურიგდათ საშეშე მერქანი.
* სტალინის გამზირზე, სტალინის ბაღში, შიოს წყაროზე, დიდების მუზეუმთან და მე-3 სკოლასთან არსებულ სკვერში დაირგო სხვადასხვა ჯიშის დეკორატიული ხე-მცენარეები, ჯამში 572 ცალი.
* გაისხლა მრავალ წლიანი ნარგავები: ცხინვალის გზატკეცილზე, ჭავჭავაძის, აღმაშენებლის, თბილისის, სუხიშვილის, სტალინის ქუჩებზე.
* სკვერებში და გაზონებში დეკორატიულად გაიკრიჭა მარადმწვანე ბუჩქები და ლუგუსტრუმები.
* მრავალწლიანი ხეების ძირები შეთეთრდა კირის ხსნარით შემდეგ მისამართებზე: თეატრის ბაღში, სტალინის გამზირზე და ჭავჭავაძის ქუჩაზე.
* მოხდა სანერგე მეურნეობის ტერიტორიის დასუფთავება, მოიხნა და გაფხვიერდა მიწა. მიმდინარეობდა ხე-მცენარეების გამარგვლა, გათოხვნა, მორწყვა, ნარგავების ფორმირება, გასხვლა-შეკრეჭა, ვაზის გასხვლა, გაფურჩქვნა, შეწამლა, სათბურისა და ნათესარის გამარგვლა.
* გაიკრიჭა და გაისხლა ლუგუსტრუმები, ვარდები და სხვადასხვა მერქნიანი მცენარეები. სათბურიდნ გამოტანილ იქნა მცენარეები: კატალპა, კვიპაროსი, ტუია, ვარდი, ღვია.
* მოხდა სანერგე მეურნეობის ტერიტორიის და ტბის მიმდებარე ტერიტორიის გათიბვა, გასუფთავება.
* ყვავილების თესლის დათესვა, მორწყვა.
* შეიწამლა ბუჩქოვანი მცენარეები: ბზა, ჭანჭყატი, ღვია, უთხოვარი.
* მოხდა მცეანრეების დაკალმება დ დაკალმებული მცენარეების გადარგვა, გერბიციდის მოსხურება.
* ჩატარებულ იქნა სხვადასხვა მცენარეების მავნებლების საწინააღმდეგო წამლობა, მოიწამლა ბზები, კატალპა, მუხა და სხვა დაავადებული მცენარეები.
* შეტანილ იქნა მინერალური დ აზოტოვანი სასუქები, მოირწყა აღნიშნული მცენარეები, მოიხრეშა და მოსწორდა სანერგე მეურნეობის მისასვლელი გზა.
* მოხდა სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეების კალმების აღება: ღვია, უთხოვარი, ლუგუსტრუმი, ვარდი, ბზა, ირმის რქა, წყავი.
* სანერგე მეურნეობაში დაითესა: ნეკერჩხალი, კატალპა, ცაცვი, მუხა, ცხენის წაბლი, ტუია, კვიპაროსი, კედარი, წყავი, ფიჭვი, ტუსტი, ბოყვი, იფანი, საპნის ხე, აკაკი, ჯამში 15000 ცალი.
* წარმოგიდგენთ დანართის სახით საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე გამწვანების და სანერგე მეურნეობის განყოფილების მიერ ხე-მცენარეების დარგვის, მოჭრა - გადაბელვის და თიბვის ადგილებს.

8.სასაფლაოების მოწყობისა და მართვის განყოფილება.

სასაფლაოების მოწყობისა და მართვის განყოფილების მიერ 2022 წელს ოქტომბრიდან 2023 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში:

2022 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით გორის კვერნაკის სასაფლაოზე დაიკრძალა სულ 83 მიცვალებული აქედან:

ოქტომბრის თვეში სულ დაიკრძალა - 27 მიცვალებული.

აქედან არსებულ საფლავში - 17, ახალი ორადგილიანი - 1, სამადგილიანი - 2, ოთხადგილიანი -4 და ხუთადგილიანი - 2.

მიმატება - 8 $მ^2$ და ორი ბიოლოგიური ნარჩენი.

ნოემბრის თვეში სულ დაიკრძალა - 32 მიცვალებული.

აქედან არსებულ საფლავში -16, ახალი ორადგილიანი -5, სამადგილიანი -3, ოთხადგილიანი -3,

მიმატება - 5$მ^2$ და 8 $მ^2$.

თვითმომსახურეობით დაიკრძალა -2 მიცვალებული, უპატრონო გარდაცვილი დაიკრძალა - 1.

დეკემბრის თვეში სულ დაიკრძალა - 24 გარდაცვლილი.

აქედან არსებულ საფლავში - 12, ახალი ორადგილიანი - 3, სამადგილიანი-3, ოთხადგილიანი -2.

2 მიმატება 5-5 $მ^2$.

თვითმომსახურეობით დაიკრძალა -2 მიცვალებული.

ერთი ბიოლოგიური ნარჩენი

2023 წლის 1 იანვრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით გორის კვერნაკის სასაფლაოზე დაიკრძალა სულ 233 მიცვალებული აქედან:

იანვარი 30, თვითმომსახურება - 4, არსებულში დაკრძალვა 22, გაიცა ახალი ორადგილიანი სასაფლაო - 2, სამადგილიანი -1, ოთხადგილიანი -1.

თებერვალი 26, თვითმომსახურებით დაკრძალვა -1, არსებულში დაკრძალვა -14, ახალი ორადგილიანი -3, სამადგილიანი -2, ოთხადგილიანი -6.

მარტი 28, აქედან თვითმომსახურებით გადასვენება -2, არსებულში დაკრძალვა - 16, ახალი ორადგილიანი -5,

სამადგილიანი -1, ოთხადგილიანი -4.

აპრილი 22, აქედან - 13 არსებულში დაკრძალვა, ახალი ორადგილიანი -4, სამადგილიანი -1, ოთხადგილიანი - 4.

მაისი 36, აქედან - 24 არსებულში დაკრძალვა, ორადგილიანი - 1, სამადგილიანი - 3, ოთხადგილიანი - 5, ხუთადგილიანი - 2, არსებულ საგვარეულო საფლავზე მოხდა ადგილის მიმატება 16 $მ^2$.

ივნისის თვეში დაიკრძალა - 20 მიცვალებული. აქედან - 16 არსებულში, ახალი ორ ადგილიანი -3, თვითმომსახურება -1.

ივლისის თვეში დაიკრძალა - 21 მიცვალებული. აქედან -16 არსებულში, ახალი ორადგილიანი -2, სამადგილიანი -1, ოთხადგილიანი -1, მიმატება 8 $მ^2$.

აგვისტოს თვეში დაიკრძალა - 35 მიცვალებული. აქედან - 19 არსებულში, ახალი ორ ადგილიანი -5, სამადგილიანი -5, ოთხადგილიანი -2, თვითმომსახურებით - 4.

სექტემბრის თვეში დაიკრძალა - 13 მიცვალებული. აქედან - 10 არსებულში, ორ ადგილიანი -1, ოთხადგილიანი -1, თვითმომსახურებით -1.

თებერვლის თვეში გამწვანების და დასუფთავების განყოფილების დახმარებით გაითიბა და დასუფთავდა ყველა ამოსასვლელი გზა, წინა სააღდგომო დღეებში გავიტანეთ საფლავებიდან როგორც სამშენებლო ისე გათიბული და გასხლული ნარჩენები, ტრაქტორებით, დიდი თვითმცლელი მანქანებით, ასევე პატარა დასუფთავების თვითმცლელი მანქანებით. სისტემატიურად იგვება ამოსასვლელი გზები და ივსება წყლის ავზები, მესაფლავეებზე გაიცა სეზონური ახალი ტანსაცმელი, საწყობი შეივსო ახალი ინვენტარით. მაისის თვეში მთლიანად გაიწმინდა კვერნაკის სასაფლაოს ტერიტორია სამშენებლო მასალების სტიქიური ნაგავსაყრელებისგან ექსკავატორით (კამაცუ) .

კვერნაკის სასაფლაოსთვის გადმოცემული მიწის ნაკვეთი ახალი სასაფლაოს მოწყობისთვის რელიეფურად გამოუსადეგარია სასაფლაოს მოსაწყობად, აქედან გამომდინარე მერიისგან მოთხოვნილი გვაქვს ახალი მიწის ნაკვეთი, სადაც მიწის გადმოცემის შემთხვევაში მოეწყობა ახალი სააფლაო, მოხდება კანონის შესაბამისად დაპროექტება, სექტორებად დაყოფა და თითოეული საფლავის დანომრვა, როგორც ახლის ასევე ძველი საფლავის.

სისტემატურად იცვლება გარე განათების ნათურები. სასაფლაოს ადმინისტრაციის შენობაში დამონტაჟდა ინტერნეტი და ტელევიზია.

პატივისცემით,

გიორგი ბარჯაძე

გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს
დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ხეების მოჭრა-გადაბელვა-გასხვლა 2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის სექტემბრამდე

ქ. გორი

მოჭრა	გადაბელვა	გასხვლა	შენიშვნა
82 ძირი	41 ძირი	199 ძირი	

გორის რაიონი

	მისამართი	მოჭრა	გადაბელვა	გასხვლა
N				
1	მარანა	3	1	
2	ფლავი	4	25	
3	ტინისხიდი	12		
4	ვარიანი	3	13	
5	ქიწნისი სათემოს გზა	1	61	
6	ქიწნისი	8	15	
7	ფლავისმანი		7	
8	ტირძნისი	4	2	
9	კარბი	11	8	
10	მერეთი	4	22	
11	ჯარიაშენი		1	
12	რეხა	8	21	
13	კარალეთი		1	
14	სვენეთის გზა			41
15	ქვ.ხვითი	1		
16	ნიქოზი	3	5	
17	ქვემო არცევი	15		
18	საქაშეთი	4		
19	არაშენდა	1		35
20	გორიჯვარი	2	5	
21	სათემო	5	7	
22	ძევერა	6	1	

23	შერთული	3	2	
24	ვარიანის მეურნეობა	1		
25	ზერტი	6		
26	გუგუტიაანთკარი	1		
	ჯამი	106	197	76

ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო''-ს გამწვანება და სანერეგე მეურნეობის განყოფილების მიერ **2022** წლის ოქტომბრიდან **2023** წლის ოქტომბრამდე მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე ხე-მცენარეების დარგვის ადგილები

N	მცენარეების დარგვის ადგილები	იფანი	კატალპა	ტუხტი	ნეკერჩხალი	ტირიფი	ტუია	ვარდი	ლუგუსტრუმი	ფიჭვი	წყავი	ემონიუსი	მუხა	ცხენისწაბლი
1	ტყვიავი	15	15	15	15	5								
2	ქვახვრელი	50	20	50	30		10	10					30	
3	უფლისციხე	20	20	20										
4	ზერტის სკოლა	10	10	20			10							
5	სვენეთის სკოლა	15	15	20										
6	სამხედრო აკადემია								500					
7	შავშვების სკოლა		10	20										
8	ქიწნისი	10	10	20										
9	მწერალთა სახლი				15		20							
10	ვოლოგდის დასახლებაში სკვერი	20		12			6							
11	კომბინატის კულტურის სახლი	20												
12	სკოლამდელი აღზრდის სააგენტო	15	15	40										
13	ფერძის ქუჩა		3	20				70						
14	სხხიერელის სახელობის საჭიდაო სკოლის მიმდებარედ				4		8			9	4			
15	სპორტის სასახლე		32				24							
16	კომბინატი პოლიციის წინამდებარე გაზონი			11	2						10	5		

17	მამარდაშვილის მემორიალთან							125						
18	კარალეთი	10	5	10	15		10	5					5	
19	ყელქცეულის საჯარო სკოლა			15			15							
20	ქვეშის საჯარო სკოლა			30	20		10	30					5	10
21	ხურვალეთის საჯარო სკოლა	5	5	10	5		10							
22	ძმ.რომელაშვილების 179			8	8				200		2			
23	თამარ მეფის ქუჩა				19		3							
24	რობაქიძის ქუჩა	3		1	2								1	
25	გოგებაშვილის ქუჩა			41	25						9			
26	N12 საბავშვო ბაღი	6		20	4		12	20	12		4		4	4
27	ვარიანი,შინდისი ნიქოზი	26	25	40	35	17	50		550				30	